



Sweden/შვედეთი
Sverige

ISET

International School of Economics at TSU
Policy Institute

პოლიტიკის დოკუმენტი

საქართველოს თხილის სექტორის
მიმოხილვა: წარსულის
ტენდენციები და მომავლის
პერსპექტივები

იანვარი, 2023

ავტორები:

სალომე გელაშვილი
სალომე დეისაძე
ელენე სეთურიძე

სარჩევი

შესავალი	3
ტენდენციები საერთაშორისო ვაჭრობაში	3
ადგილობრივი წარმოება და სახელმწიფო პოლიტიკა.....	7
მთავრობის პოლიტიკა თხილის სექტორში	8
გამომწვევები და შესაძლებლობები	9
მომავლის პერსპექტივები	11
გამოყენებული ლიტერატურა	13

შესავალი

ისტორიულად თხილი საქართველოს ერთ-ერთ მთავარ სასოფლო-სამეურნეო კულტურას წარმოადგენს ეკონომიკური ღირებულების მხრივ; საქართველო შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს და თხილის მოსაყვანად შესაფერისი ნიადაგი და კლიმატური პირობები აქვს. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, მეოთხე საუკუნეში, ადგილობრივი მოსახლეობა აშენებდა თხილის ველურ ჯიშებს, რომლებმაც შემდეგ ადგილობრივ პირობებთან ადაპტაცია განიცადეს და შედეგად თხილის სხვადასხვა ადგილობრივი ჯიში ჩამოყალიბდა (GEONUTS, 2023).

2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის თანახმად, თხილის წარმოებაში დაახლოებით 107,000 შინამეურნეობაა ჩართული, რაც მთლიანი მეურნეობების 17%-ს შეადგენს (GeoStat (National Statistics Office of Georgia), 2014). საქართველოში თხილის ნახევარზე მეტი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში იწარმოება, სადაც თხილი სოფლის მეურნეობაში ჩართული საოჯახო მეურნეობების შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს.

ღვინოსთან ერთად, თხილი წარმოებისა და ექსპორტის თვალსაზრისით წამყვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტია. ბოლო ათწლეულის განმავლობაში სექტორი მნიშვნელოვნად გაიზარდა, თუმცა ადგილობრივი მწარმოებლები და ექსპორტები მიიჩნევენ, რომ არსებობს როგორც წარმოების ზრდის, ისე ხარისხის გაუმჯობესების პოტენციალი, რამაც შესაძლოა საქართველოს ამ სექტორში მოწინავე პოზიცია დაუმკვიდროს. თუმცა მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ: აქვს თუ არა საქართველოს რეალური პერსპექტივა ამ ამბიციური მიზნის მისაღწევად? რა არის სექტორის ძირითადი გამოწვევები და როგორ უნდა მოხდეს ზრდის პოტენციალის გამოყენება?

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი მოკლედ მიმოიხილავს თხილის სექტორს და სექტორთან დაკავშირებულ გამოწვევებს, ასევე, აერთიანებს რეკომენდაციებს საერთაშორისო ბაზრებზე ქართული თხილის პოზიციის გასამდიერებლად.

ტენდენციები საერთაშორისო ვაჭრობაში

თხილი საქართველოსთვის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული საექსპორტო პროდუქტია. 2021 წელს საქართველო მსოფლიოში თხილის (როგორც ნაჭუჭგაუცლელი, ისე ნაჭუჭგაცლილი) ექსპორტიორთა ხუთეულში იყო: თურქეთი (54.2%), იტალია (14.4%), ჩილე (6.4%), ამერიკის

შეერთებული შტატები (6.0%), საქართველო (4.8%) (UN Comtrade, 2023). ამ სექტორში შედარებით მაღალია საშუალო მოსავლიანობა ჰა-ზე. წამყვან ექსპორტიორ ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი მოსავლიანობა (2848 კგ/ჰა) ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვს, საქართველო ამ სიაში მეორეა, საშუალოდ, 1800 კგ-ით ერთ ჰა-ზე. საქართველო ამჟამად მსოფლიოში მე-6 ადგილს იკავებს ჰა-ზე საშუალო მოსავლიანობით, ხოლო თხილის წამყვანი ექსპორტიორები – იტალია და თურქეთი – შესაბამისად, მე-15 და მე-17 პოზიციებზე არიან (ცხრილი 1).


ცხრილი 1. თხილის ექსპორტიორი ტოპ 5 ქვეყანა 2021 წელს

ქვეყანა	ფართობი (ჰა)	წარმოება (ტონა)	მოსავლიანობა (კგ/ჰა)	რეიტინგი ჰა-ზე საშუალოდ მოსავლიანობით
თურქეთი	738,920	684,000	926	17
იტალია	82,590	84,670	1,025	15
ჩილე	24,456	35,291	1,443	8
აშშ	24,686	70,310	2,848	1
საქართველო	25,550	46,000	1,800	6

წყარო: FAOSTAT, UN Comtrade, 2023

2010-2021 წლებში თხილი საქართველოს მთლიანი ექსპორტის დაახლოებით 4.4%-ს შეადგენდა (Geostat, 2023). ექსპორტირებული თხილის რაოდენობამ მაქსიმუმს 2013 წელს მიაღწია (30 ათასი ტონა), თუმცა მომდევნო წლებში ეს რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა (20 ათასი ტონა 2014 წელს და 19 ათასი ტონა 2015 წელს) (დიაგრამა 1). 2016 წელს ექსპორტირებული თხილის რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდის (42%) შემდეგ, 2017 წელს ექსპორტი მკვეთრად შემცირდა როგორც რაოდენობით, ისე ღირებულებით, რაც ძირითადად წარმოების შემცირებითა და აზიური ფაროსანას შემოსევით იყო განაპირობებული. შედეგად, შემცირდა ექსპორტირებული თხილის როგორც რაოდენობა, ისე ღირებულება. ორივე მაჩვენებელი მეტ-ნაკლებად დასტაბილურდა 2020 წლისთვის.

დიაგრამა 1. ექსპორტირებული თხილის რაოდენობა და ღირებულება




წყარო: საქსტატი, 2023

შენიშვნა: *იანვარ-ნოემბერი 2022

თხილის მთავარ საექსპორტო ბაზარს ევროკავშირის ქვეყნები წარმოადგენს და მათი წილი საქართველოს თხილის მთლიან ექსპორტში საშუალოდ 65%-ს შეადგენს (2010-2022 წწ). ქართული თხილის 20% კი დსთ-ის ქვეყნებში გადის.

2021 წელს თხილის მთლიანი ექსპორტის დაახლოებით ნახევარი გავიდა იტალიასა (33%) და გერმანიაში (18%) (დიაგრამა 2). აღსანიშნავია, რომ გერმანიაში 1 კგ თხილის საექსპორტო ღირებულება უფრო მაღალი იყო (5.85 აშშ დოლარი კგ-ზე), ვიდრე იტალიაში (3.86 აშშ დოლარი კგ-ზე). 2010-2021 წლებში იტალიის ბაზრის წილი საშუალოდ 20%-ს შეადგენდა, გერმანია მას მცირედით ჩამორჩებოდა ბაზრის 19%-იანი წილით.

დიაგრამა 2. ქართული თხილის საექსპორტო დანიშნულების ქვეყნები 2021 წელს



წყარო: საქსტატი, 2023

რაც შეეხება ექსპორტის დივერსიფიკაციას, 2021 წელს ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (HHI) – ბაზრის კონცენტრაციის საზომი – 1,371-ს გაუტოლდა, რაც კარგად დივერსიფიცირებულ ბაზრებზე მიუთითებს. ბოლო ათი წლის განმავლობაში (2010-2021 წლებში) ბაზრის ზომიერი კონცენტრაცია დაფიქსირდა მხოლოდ 2015 და 2016 წლებში, დანარჩენ წლებში კი HHI-ის მიხედვით საქართველოს თხილის საექსპორტო ბაზრები დივერსიფიცირებული იყო.

აღსანიშნავია, რომ თხილის ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში ქართულ თხილს ყველაზე დაბალი ღირებულება აქვს: ერთი კილოგრამი ქართული საექსპორტო ნაჭუჭგაუცვლელი თხილი 2.7 აშშ დოლარი ღირს, ნაჭუჭგაცლილი კი – 5.9 აშშ დოლარი (ცხრილი 2). შედარებისათვის, ყველაზე მაღალია ნაჭუჭგაუცვლელი ამერიკული (4.6 აშშ დოლარი) და ნაჭუჭგაცლილი იტალიური თხილის ფასი (9.2 აშშ დოლარი). რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქართული თხილის ხარისხი არ შეესაბამება სხვა მთავარი ექსპორტიორი ქვეყნების თხილის ხარისხს.

ცხრილი 2. ტოპ 5 ექსპორტიორი ქვეყნიდან ექსპორტირებული თხილის ფასი 2021 წელს


ქვეყანა	ექსპორტირებული თხილის ფასი (ნაჭუჭბაუსტელი) (აშშ დოლარი/კგ)	ექსპორტირებული თხილის ფასი (ნაჭუჭბასტლილი) (აშშ დოლარი/კგ)
თურქეთი	3.0	6.4
იტალია	4.3	9.2
ჩილე	4.1	9.0
აშშ	4.6	8.9
საქართველო	2.7	5.9

წყარო : UN Comtrade, 2023

აღბილობრივი წარმოება და სახელმწიფო პოლიტიკა

ბოლო ათწლეულის განმავლობაში თხილის წარმოება მინიმალური 17,000 ტონა თხილიდან (2018) მაქსიმალურ 46,000 ტონა თხილამდე (2021) მერყეობდა (დიაგრამა 3). სექტორისთვის ყველაზე რთული იყო 2017-2018 წლები, რადგან 2017 წელს თხილი სხვადასხვა სოკოვანი დაავადებით დაზიანდა, ხოლო აზიური ფაროსანას შემოსევამ მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა. შედეგად, შემცირდა წარმოებული თხილის რაოდენობა და გაუარესდა მისი ხარისხიც. 2019 წელს თხილის სექტორმა აღდგენა დაიწყო: მომდევნო წლებში წარმოება გაიზარდა და 2021 წელს თავის მაქსიმუმს, 46 ათას ტონას, მიაღწია.

დიაგრამა 3. თხილის წარმოება საქართველოში (2010-2022 წწ)



წყარო: საქსტატი, 2023

შენიშვნა: *ექსპერტების შეფასება

2022 წელს უამინდობის გამო წარმოება შემცირდა და, შესაბამისად, შეიცვალა წარმოების მხარდი 3-წლიანი ტენდენცია. სხვადასხვა დაინტერესებული მხარის შეფასებით, ფერმერებმა ვერ შეძლეს თხილის მოვლის ღონისძიებების სათანადოდ ჩატარებაც, რის გამოც გაჩნდა წარმოების შემცირებასა და თხილის ხარისხის გაუარესებასთან დაკავშირებული მოლოდინები.

მთავრობის პოლიტიკა თხილის სექტორში

საქართველოს მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს თხილის სექტორსა და მის განვითარებას. ეს სექტორი გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სტრატეგიულ დოკუმენტში. არსებობს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამაც, რომელიც მხარს უჭერს სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და მათ შორის თხილის მწარმოებლებსაც. 2014 წლიდან თხილის მწარმოებლებს შეუძლიათ ისარგებლონ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებული სოფლის განვითარების სააგენტოს (RDA) მიერ განხორციელებული აგროდაზღვევის პროგრამით. ადგილობრივ მწარმოებლებს ასევე შეუძლიათ ისარგებლონ პროგრამით „დანერგე მომავალი“, რომელიც ფინანსური და

ტექნიკური დახმარების გაწევასთან ერთად, მოიცავს მრავალწლოვანი კულტურების ბაღების გაშენების თანადაფინანსების კომპონენტს ბენეფიციარებისთვის, რომლებიც გააშენებენ ახალ მრავალწლოვან ბაღებს. კიდევ ერთი მხარდამჭერი პროგრამა – **შელავათიანი აგროკრედიტის პროექტი** – ითვალისწინებს ძირითადი და საბრუნავი საშუალებებისთვის შელავათიანი აგროკრედიტს/აგროლიზინგს ფინანსური ინსტიტუტებიდან იმ საწარმოებისთვის, რომლებიც ჩართული არიან პირველად სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, გადამუშავებასა და შენახვაში (RDA, 2023).

2022 წელს საქართველოს მთავრობამ თხილის წარმოების მხარდასაჭერად ახალი პროგრამა დაიწყო (RDA, 2023). პროგრამა მიზნად ისახავს თხილის პირველადი წარმოების ხელშეწყობას თხილის ბაღების მესაკუთრეებისა და მეწარმეთა წახალისებას თხილის მოვლა-მოყვანისთვის საჭირო საშუალებების სუბსიდირების გზით. აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად ფერმერები უნდა დარეგისტრირდნენ თხილის ბაღების კადასტრში. საქართველოს მთავრობა გეგმავს აღნიშნული თხილის კადასტრის შექმნას, წარმოებისა და ჯიშების შესახებ მონაცემების შეგროვებას და აღნიშნული მონაცემების ანალიზის საფუძველზე სექტორში შესაბამისი ზომების გატარებას.

ამ პროგრამას ახორციელებს სოფლის განვითარების სააგენტო (RDA) და პროგრამის ფარგლებში საწყის ეტაპზე დაახლოებით 20 მლნ. ლარი გამოიყოფა. ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როდესაც მთავრობამ შეიმუშავა მხარდაჭერის პროგრამა მხოლოდ თხილის მწარმოებლებისათვის. პირველი ასეთი პროგრამა 2017 წელს დაინერგა, როდესაც საქართველოს მთავრობამ მხარი დაუჭირა თხილის მწარმოებლებს აზიური ფაროსანას შემოსევის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გამოწვევები და შესაძლებლობები

თხილის ტოპ ექსპორტიორთა შორის მოხვედრა ქართული თხილის სექტორის მყარ პოზიციაზე მიუთითებს. მიუხედავად ამისა, წარმოება კვლავ საკმაოდ არასტაბილურია და თხილის ხარისხი სექტორის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. დაბალი ხარისხი, სავარაუდოდ, იმ მრავალი პრობლემით არის გამოწვეული, რომელსაც თხილის მწარმოებლები ადგილობრივად აწყდებიან, თუნდაც ისეთი საგარეო შოკების არარსებობის პირობებში, როგორცაა ფაროსანას შემოსევა და თხილის გლობალური ვაჭრობის შემცირება.

თხილის სექტორში ყველაზე კრიტიკულ გამოწვევებს შორისაა სამუშაო ძალის დეფიციტი, საშრობი და შესანახი საშუალებების ნაკლებობა, მელიორაციასთან (უმეტესად დრენაჟთან)

დაკავშირებული სირთულეები, მექანიზაციის სერვისების დაბალი ხელმისაწვდომობა, ფინანსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ცოდნის ნაკლებობა, ნდობის ნაკლებობა ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეებს შორის, საკონტრაქტო ურთიერთობისა (Contract Farming) და კოოპერაციის ნაკლებობა (ISET Policy Institute, 2018). მიუხედავად იმისა, რომ თითოეული გამოწვევა მნიშვნელოვანია, დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებით აღსანიშნავია სამუშაო ძალის დეფიციტი, საშრობი და შესანახი საშუალებების არარსებობა და ნაკლებად განვითარებული სადრენაჟო სისტემები.

სამუშაო ძალის დეფიციტი: მოსავლის აღების პერიოდში თხილის მკრეფავთა ნაკლებობაა. დღიური ანაზღაურების გაზრდის მიუხედავად, სამუშაო ძალის დეფიციტი მაინც აღინიშნება – თხილის ზოგიერთ მწარმოებელს სამუშაო ძალის ჩამოყვანა საქართველოს სხვა რეგიონებიდან უწევს, რაც ზრდის წარმოების ხარჯებს. მუშების ნაწილს მუშაობა თურქეთში ურჩევნია, სადაც თხილის წარმოებისა და სამუშაოს უფრო დიდი მოცულობის გამო მათ მეტის გამოძიება შეუძლიათ. ამ საკითხის პოტენციური გადაწყვეტა მოიცავს: მუშებისათვის უფრო მაღალი ანაზღაურების შეთავაზებას ან სამუშაო ძალის ტექნიკით ჩანაცვლებას. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ალტერნატივა მოითხოვს დამატებით ხარჯებს მწარმოებლებისაგან, კოოპერაციამ, შესაძლოა, თითოეულ ფერმერს შეუმციროს ხარჯები. მაგალითად, ფერმერებმა შესაძლოა ერთობლივად შეიძინონ საჭირო ტექნიკა.

საშრობი დანადგარებისა და შემნახველი ობიექტების ნაკლებობა: საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაციის (GHGA) მონაცემებით, ამჟამად თხილის საშრობი შვიდი ობიექტი არსებობს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნას. შენახვის არასათანადო პირობები იწვევს გადაჭარბებულ ტენიანობას, რაც, თავის მხრივ, იწვევს თხილის ლპობას, დაავადებას და ჭიებს (ISET Policy Institute, 2018). ამიტომ საჭიროა ახალი, თანამედროვე საშრობი და შემნახველი ობიექტების გახსნა. ამ გამოწვევის გადაჭრის ერთ-ერთი გზაა, რომ GHGA-მ უხელმძღვანელოს საინვესტიციო სტრატეგიისა და დონორებთან და პოტენციურ კერძო ინვესტორებთან კომუნიკაციის გეგმის შემუშავებას საშრობ და შემნახველ ობიექტებში ინვესტიციების მოსაზიდად.

ნაკლებად განვითარებული სადრენაჟო სისტემები: მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ირიგაციის საჭიროება დგას, დასავლეთში ხშირად ხელოვნური დრენაჟია საჭირო. საქართველოს 2017-2025 წლების ირიგაციის სტრატეგიის მიხედვით, საქართველოს მთავრობა 2025 წლისთვის 100,000 ჰა-ის დრენაჟს გეგმავს (Georgian Amelioration, 2017). თუმცა აღნიშნული შედეგის მიღწევა ნაკლებსავარაუდოა რადგან, უპირველესად, არ იქნა მიღებული შესაბამისი კანონი წყლის რესურსების მართვის შესახებ და საქართველოს მელიორაციას (GA), რომელიც პასუხისმგებელია ირიგაციასა და დრენაჟზე მთელი ქვეყნის

მასშტაბით, არ შეუძლია ფერმერებს დააკისროს შესაბამისი საფასურის გადახდა სადრენაჟო მომსახურებისათვის. საფასურის დაკისრება ვერ ხდება იმიტომ, რომ არ არსებობს სანიაღვრე გადასახადების გადახდის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი – მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მელიორაცია ფლობს სადრენაჟო ქსელებს და პასუხისმგებელია სატუმბ ხარჯებზე. მეორე მხრივ, თავად სტრატეგია, ძირითადად, ირიგაციაზეა ფოკუსირებული და დრენაჟის საკითხს მხოლოდ შეზღუდულად ფარავს. ამ გამოწვევების გათვალისწინებით, 2021 წელს საქართველოს მთავრობამ შეამცირა მიზნობრივი მაჩვენებლები და გამოაცხადა, რომ 75,000 ჰა მიწის დრენაჟი 2030 წლისთვის განხორციელდება. დრენირებული ფართობის გაზრდის მიზნით რეკომენდებულია წყლის რესურსების მართვის ინსტიტუციური და სამართლებრივი ბაზის შექმნა.

მოგავლის პერსპექტივები

არსებობს რამდენიმე შესაძლებლობა, რაც ხელს შეუწყობს ქართული თხილის პოზიციის განმტკიცებას მსოფლიო ბაზარზე:

1. რაოდენობის ნაცვლად, ხარისხისთვის პრიორიტეტის მინიჭების გზით ფასების ზრდაზე ფოკუსირება. წარმოებული თხილის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად უნდა მოხდეს არსებულ გამოწვევებთან გამკლავება. ამის შემდეგ კი შესაძლოა მეტი აქცენტი გაკეთდეს თხილის რაოდენობის გაზრდაზე. თხილის წარმოების ზრდის განხილვისას გასათვალისწინებელია თხილზე გლობალური მოთხოვნის ტენდენციებიც.
2. დამატებული ღირებულების ზრდა თხილისგან დამზადებულ პროდუქტებზე თხილის წარმოებისა და გადამამუშავების განვითარებით. მსგავსი პროდუქტების ბაზარზე გატანა მოხდება, როგორც „ტრადიციული“ ან „ჯანსაღი“; ასეთი პროდუქტის ყველაზე ცნობილი მაგალითი ქართული ტრადიციული ჩურჩხელაა. თხილის მწარმოებლებმა მეტად უნდა გამოიყენონ საკონდიტრო ინდუსტრიის მიერ შემოთავაზებული შესაძლებლობები (AGENDA.GE, 2019).
3. ბაზრების დივერსიფიკაცია აზიურ და ახლო აღმოსავლეთის ბაზრებზე შესვლის გზით. ზოგადად, საქართველოს თხილის საექსპორტო ბაზრები დივერსიფიცირებულია, მაგრამ ექსპორტის ნახევარი ევროპულ ქვეყნებში გადის. იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი ევროპული კომპანია შესაძლოა მომავალში, სხვადასხვა მიზეზის გამო, ადგილობრივად წარმოებულ თხილზე გადავიდეს, რისკების შესამცირებლად საჭიროა, რომ აზიური ბაზრებიც განიხილებოდეს.

ქართველმა ექსპორტიორებმა შესაძლოა სცადონ სავაჭრო ურთიერთობების დამყარება ჩინეთში ან არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში, რომლებიც ნელ-ნელა თხილის უფრო მნიშვნელოვანი იმპორტიორები ხდებიან (EastFruit, 2021).

4. პროდუქტის დივერსიფიკაცია თხილის სხვადასხვა სახეობის წარმოების გზით. გრძელვადიან პერსპექტივაში კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად შესაძლოა პროდუქტის დივერსიფიკაციის გამოყენებაც. იმის გათვალისწინებით, რომ თხილი საქართველოში ტრადიციული პროდუქტია, თხილის სხვა სახეობების (ნუში, პეკანი, ქეშიუ) წარმოებაზე გადასვლა შესაძლოა რთული აღმოჩნდეს. თუმცა, რადგან საქართველოს კლიმატი და ნიადაგი ხელსაყრელია თხილის წარმოებისთვის, შესაძლოა არსებობდეს წარმოების დივერსიფიკაციის პოტენციალი. ბაზრის დივერსიფიკაციის მსგავსად, პროდუქციის დივერსიფიკაციაც გააძლიერებს ქართული თხილის პოზიციას გლობალურ ბაზარზე.

გამოყენებული ლიტერატურა

- AGENDA.GE. (2019). *FAO expert floats export potential of Georgian churchkhela dessert*. Retrieved from <https://agenda.ge/en/news/2019/2675>
- EastFruit. (2021). *Georgia to increase hazelnut production and improve quality amidst rising global competition*. Retrieved from <https://east-fruit.com/en/news/georgia-to-increase-hazelnut-production-and-improve-quality-amidst-rising-global-competition/>
- GEONUTS. (2023). *Georgian Hazelnut*. Retrieved from <https://geonuts.org/>
- Georgian Amelioration. (2017). *Irrigation Strategy for Georgia 2017-2025*. Retrieved from <https://www.ag.ge/Ge/Strategy>
- GeoStat (National Statistics Office of Georgia). (2014). *Agricultural Census of Georgia*.
- Geostat. (2023). *External Trade Portal*. Retrieved from <http://ex-trade.geostat.ge/en>
- ISET Policy Institute. (2018). *Study on Private Service Providers in Organic Hazelnut Value Chain in Georgia*. Retrieved from <https://iset-pi.ge/storage/media/other/2021-10-06/be094120-2676-11ec-9f64-e7f8fe023a3a.pdf>
- RDA. (2023). *Rural Development Agency*. Retrieved from <https://rda.gov.ge/en/programs>
- UN Comtrade. (2023). *UN Comtrade Database*. Retrieved from <https://comtradeplus.un.org/>

ISET

International School of Economics at TSU
Policy Institute

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი არის ეკონომიკის წამყვანი და დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრი საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის მასშტაბით. ინსტიტუტის საქმიანობის საგანს წარმოადგენს როგორც კვლევითი და საკონსულტაციო საქმიანობა, ისე ტრენინგებისა და დისკუსიების ორგანიზება საჯარო პოლიტიკის ირგვლივ. ISET-ის კვლევით ინსტიტუტსა და თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლას (ISET) შორის არსებული მჭიდრო კავშირი უზრუნველყოფს ორივე ორგანიზაციის ინტელექტუალურ-ფინანსურ მდგრადობას. ინსტიტუტის მიზანია, საქართველოსა და რეგიონის მასშტაბით წვლილი შეიტანოს ეკონომიკის, განათლების, დემოკრატიული მმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში.

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი

www.iset-pi.ge

iset-pi@iset.ge

+995 322 507 177